

Թ. ՆՈՎԱՀԱՅՐՈՎ



Ե Յ Ա Բ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ
Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ
Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ
Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ Ա Կ Ա Խ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო
„სამზრივ სტილი“

თ. სიცარცლისა

ღვინის საღარენი და რასაცველებელი ჭურჭელი

ანდრი გრიშა



გამოცემის „საგვთა საქართველო“
თბილისი 1970

663.255




6Π8 . 5

663.255

ს 561

წინამდებარე ნაშრომში მოქლედ განხილულია ღვე-
ნის ჭურჭლის ზოგადი საკითხები, ყურადღება გამახვი-
ლებულია საღულარ და შესანახ ჭურჭელზე; ღლშერი-
ლია ქართული ღვენის უძველესი ჭურჭლის — ქვევრის
ჭარმოების ტექნოლოგიური პროცესი, მისი მნიშვნე-
ლობა და მოვლის წესები.

K 57.624
20V



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
2008 წლის 20 მარტის 1995

შ 0 ს ა ვ ა ლ ი

საქართველო კლასიკური მელვინეობის ქვეყანაა. არქეოლოგიური ძეგლების, ისტორიული წყაროებისა და მეცნიერთა გამოკვლევების მიხედვით, ჩვენი სამშობლო მევენახეობისა და მელვინეობის განვითარების ძირითად კერად ითვლება მსოფლიოში. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მრავალნაირი ღვინის ჭურჭელი (სასმისები, ღოქები, ქვევრები) და ძველი ქართული მარნების შესწავლა ნათელს ჰქონის ქართული ღვინის წარმოებისა და შენახვის მაღალ კულტურას.

საქართველოს სამრეწველო მელვინეობა ერთ-ერთი წამყვანია საბჭოთა კავშირში. ჩვენი რესპუბლიკა მაღალხარისხოვანი სუფრის, სადესერტო ბუნებრივად ტებილი ღვინოების, საბჭოთა შამპანურისა და კონიაკის ძირითადი მწარმოებელია.

ომისშემდგომ პერიოდში დიდად გაიზარდა ღვინის წარმოება და პროდუქციის ასორტიმენტი, მოხდა ძველ საწარმოთა რეკონსტრუირება, მწყობრიში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ღვინის ქარხნები, იზრდება ღვინომასალების გადამუშავების ტემპი. მაგალითად, თუ 1964 წელს საბჭოთა კავშირში გადამუშავდა 127,1 მლ დალ ღვინომასალა, 1970 წლისათვის ის მიაღწევს 300 მილიონ დეკალიტრს, ხოლო ყურძნის ღვინის წარმოება 210 მილიონ დეკალიტრს.



ჩვენი ქვეყნის ღვინის ქარხნებში ამჟამად 120 მილიონი ლიტრი კალიტრი მოცულობის სხვადასხვა სახის ჭურჭელია. მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზრდება მისი მოცულობა.

კვების მრეწველობის სხვა პროდუქტებისაგან ღვინო განსხვავდება თავისი ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობით და ბიოლოგიური ხასიათით. ძლიერი ორგანული მქავების, სპირტების, ეთერების, მთრიმლავი და სალებავი, აზოტოვანი და სხვა ნივთიერებების დაგროვებით ღვინო ღიღდ გავლენას ახდენს საღულარ და შესანახ ჭურჭელზე. მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებასათვის ღიღდი მნიშვნელობა აქვს ჭურჭლის დამზადების ხარისხს, ტევადობას, მის მოვლასა და შენახვას.

ღვინის ქარხნის მოწყობილობა და ღვინის ჭურჭელი

ღვინის მრეწველობაში შედის:

1. პირველადი მეღვინეობა (ღვინომასალების მიღება, ნარჩენების გადამუშავება);
2. მეორადი მეღვინეობა (ღვინის ჩამოსხმა, ბოთლების გაფორმება და შეფუთვა);
3. ყურძნის წვენის წარმოება;
4. კონიაკის სპირტისა და კონიაკის წარმოება;
5. შუშხუნა ღვინის წარმოება.

ღვინის ქარხნის ტექნოლოგიური მოწყობილობა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. ყურძნის გადასამუშავებელი დანადგარები;
2. ბადაგის დუღილისათვის, აგრეთვე ღვინისა და ღვინომასალების შენახვისა და დავარგებისათვის;



3. ღვინომასალებისა და ღვინის დასამუშავებელი (გაწევნებული დაწმენდა და სხვ.);

4. ღვინომასალებისა და ღვინის თერმული დამუშავებისა-
თვის;

5. ჭურჭელის მომზადებისათვის, ღვინის ჩამოსხმისა და მზა
პროდუქციის გადამუშავებისათვის.

ღვინის მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჭურჭელის.
ღვინისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი პროცესი
(ფორმირება, დამწიფება და დაცველება) ჭურჭელში მიმდი-
ნარეობს. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის დროულ
მომზადებას, ხმარებასა და მოვლას.


ღვინის დუღილისა და შენახვისათვის იხმარება:

1. მუხის კასრები;
2. ჩანები;
3. ბუტები;
4. რკინა-ბეტონის რეზერვუარები;
5. ლითონის ცისტერნები (ტანკები);
6. ქვევრები.

პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის იხმარება მუხის კას-
რები ავტოცისტერნები და ვაგონის ცისტერნები.

ღვინის კასრი

ღვინის კასრი ცილინდრულია, შუაში ოდნავ გამო-
ბურცული, ორი ბრტყელი ძირით; მზადდება შესაბამისი ზომის
ტკეჩებისაგან, რომლებიც კარგად უნდა იყოს გარანდული
როგორც შიგნიდან, ისე გარედან.



நாக. 1. காஸ்ரீ

காஸ்ரீச் சிங்க மூடியூலங்கள் காம்னிடுவலேபா தூந்தமிழுலின:

$$V = 262 h(2D^2 + d^2) \text{ மீ}^3$$

D — அளவில் காஸ்ரீச் சிங்க எடுத்துக்கொண்ட காம்னிடுரப்புலங்கி ம-மீ;

d — சிங்க எடுத்துக்கொண்ட ஒழுகீங்கி ம-மீ;


h — சிங்க மாந்திலில் ஒழுகீங்கில் காஸ்ரீ ம-மீ.

კასრის ტევადობა (მმ)

სამინისტრო
სისამართლებულის

კასრის	გარეთა სიღილე (მმ)		შიგა სიღილე (მმ)		ფსკერი (მმ)		განვითარების დაზიანება (მმ)				
	ვერტიკ- ალუ- რი სი- მაღლე H	დიამეტრი D	სიმაღ- ლე h	დია- მიტრი D ₁	ნაზოლი D ₂	გარე- თა d ₁	შიგა	მანძილი ტორსი და განივ ლდებს შორის	სიგანე სიღრ- მე		
50	551	430	360	465	382	330	342	14	28	27	5×5
100	584	585	495	482	534	465	477	16	30	32	6×6
150	666	651	540	564	595	507	520	16	30	32	6×6
200	696	746	630	584	690	598	610	20	38	35	6×6
250	757	793	650	645	737	624	634	20	38	35	7×7
300	794	849	700	672	793	674	684	23	40	40	7×7
350	842	862	705	756	806	690	697	23	43	45	7×7
400	842	889	735	706	833	718	726	23	43	45	7×7
450	932	897	735	796	841	717	726	23	43	45	7×7
500	1000	918	735	864	862	718	726	23	43	45	7×7
520	1000	985	805	860	925	785	795	23	43	45	8×8
550	1038	993	805	898	933	785	795	23	43	45	8×8
600	1085	1013	805	945	953	790	800	23	43	45	8×8

ხის კასრი ყველაზე ფარგად ინახავს ღვინოს, ამიტომ შეიძლება
მნიშვნელობა აქვს მის მოვლას.



ნახ. 2. ხის კასრები

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კასრების სი-
სუფთავეს, ვინაიდან მასზე არის დამოკიდებული ღვინის ხა-
რისხი. დაობებული კასრი ღვინოს სძენს ობის სუნსა და გემოს,
დაუანგებულ კასრს კი ღვინოში შეაქვს ინფექცია და სხვ.

კასრები ეწყობა ხის ან ბეტონის კოჭებზე. რკინის რელ-
სები ან ხის კოჭები ნაკლებად გამოიყენება, ვინაიდან რკინი
იყანგება, ირხევა და გადასცემს რყევებს; ხე ლპება და სარ-



დაფში აფუჭებს. ჰაერს, ხოლო აგურის კოჭების ზედაფუტნით იფხვნება კასრის გადააღილების დროს.

ღვინის შევსებამდე ახალ ან გამშრალ და ახლად შეკეთებულ კასრებს საფუძვლიანად ამუშავებენ ე. წ. დასველებით.

ცივი წყლით გამოტუტვა განსაკუთრებით კარგად მოქმედებს გოგირდოვანი ანჰიდრიდისა და სხვა აირების მოსაცილებლად, რომელსაც შეიცავს ხე. ცივი წყლის მოქმედებით ისინი დაბალ ტემპერატურაზე უფრო კარგად იხსნებიან, ვიდრე მაღალზე.

ახალი კასრის გარეცხვა. კასრს გამოყენებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე ცივი წყლით ვავსებთ და ყოველ ორ დღეში ვუცვლით. ამის შემდეგ დავამუშავებთ 25—30 წუთის განმავლობაში ორი ატმოსფეროს წნევის ქვეშ ორთქლით ანდა წყლით გავავსებთ და 0,5 საათს ორთქლს გავატარებთ შიგ.

ასეთი სახით დამუშავებულ კასრში ჩავასხამთ 4—5 დალ 5%-იან სოდის ცხელ ხსნარს, ვაგორებთ დგარზე და ცოტა ხანს დავაყოვნებთ: შემდეგ კასრს ვცლით და ვავლებთ ცხელ წყალს მანამ, სანამ ნარეცხი გამჭვირვალე ფერს არ მიიღებს. სოდით დამუშავების შემდეგ კასრის გამორეცხვა შეიძლება 2%-იანი გოგირდმუქავას ხსნარით, ერთხელ კიდევ გამოვავლებთ ცხელ წყალს, შემდეგ ცივს და კარგად გამოვრეცხავთ.

ღვინონად გამი კასრის გამორეცხვა. თუ კასრი ახლად გაცლილია და სალია, სტერილიზაციის მიზნით ცივი წყლით კარგად გამოვრეცხავთ, შემდეგ ორთქლს ან ცხელ წყალს გამოვავლებთ, ბოლოს კი ცივ წყალს, დავწრიტავთ, გავაშრობთ და ყოველ ჰექტოლიტრზე 3 გ გოგირდს ვახრჩო-



ლებთ, შეიძლება ცხელი სოდიანი ხსნარითაც დამუშავდება. ცარიელი კასრის შენახვისას დიდი ყურადღება ექცევა მისი შიგა და გარე ზედაპირის მოვლას. ცარიელი, კარგად გაწმენდილი კასრის გოგირდოვანი ანჭიდრიდით დამუშავება საქმაოდ იცავს მის შიგა ზედაპირს ობისაგან. გოგირდი 4—6 კვირას მოქმედებს. გოგირდით შებოლვა ყოველთვიურად უნდა გავიმეოროთ. მშრალ სარდაფში შენახულ კასრებს უფრო მეტი გოგირდოვანი ანჭიდრიდი ესაჭიროება, ვიდრე ნესტიან სარდაფში.

აირწარმომქმნელი გოგირდოვანი ანჭიდრიდი ცარიელ კარებში შეიძლება შევიტანოთ სულფიტომეტრით ყოველთვიურად. შებოლვისათვის საქმარისია 2—3 გ/ლ გოგირდოვანი ანჭიდრიდი.

პრაქტიკაში ხშირად იყენებენ სველ კონსერვირებას, ე. ი. 1 ლ წყალზე შეაქვთ 50 გ გოგირდოვანი ანჭიდრიდი, რომლის მასტერილიზებელი მოქმედება წლობით გრძელდება.

სველი კონსერვირების დროს ხის უჯრედებიდან გოგირდოვანი ანჭიდრიდის მოსაცილებლად საჭიროა განსაზღვრული რაოდენობის წყალი. თუ კასრი დიდხანს იყო ცარიელი, საქმარისია წყლით ოჩერ შეივსოს. სველი კონსერვირების შემდეგ საჭიროა წყლით გავსებული კასრის 2—3 დღეს დაყოვნება, ხოლო შემდეგ გამოვლება.

თუ კასრი ნესტიან სარდაფშია, საჭიროა გარე ზედაპირის დაცვა, ვინაიდან მასზე განვითარებული აბი ჰაერს ხუთავს და შმორის სუნს აყენებს, რაც ღვინოს გადაეცემა და მას უსუფთაო ტონს აძლევს.

სარდაფებში კასრების ყოველკვირეული გაწმენდით ცდი-



ლობენ ობის მოსპობას, მაგრამ ეს მეტად შრომატევალი არარენტაბელური სამუშაოა.

სოკოებისა და წყლისაგან დაცვის მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ გაელენთილი მარილები მცენარეულ ზეთთან ან გაი-ჟღენთოს ზეთით.

ახალ კასრებს უსვამენ ცხელ სელის ზეთს. როგორც სხვა ორგანული ზეთები, ისე სელის ზეთი ნესტიან სარდაფებში წარმოქმნის წყლის წვეთებს. მისი უპირატესობაა ის, რომ იყი არ ხურავს ხის ფორებს და ხელს არ უშლის ხეს „სუნთქვაში“, მაგრამ სოკოების მოქმედებისაგან მაინც ვერ იცავს.

წყლისაგან და ნაწილობრივ სოკოებისაგან კასრს კარგად იცავს ზეთი ბუტერქოსი და ფასოლინი.

თუ კასრი დიდხანს ცარიელია, უნდა დაგამუშავოთ შებოლვით, მასში დარჩენილი გოგირდოვანი ანჭიდრიდის გამოსადენად გავხსნათ და მოვსპოთ წარმოქმნილი გოგირდმუავა მარილები, ხოლო ზოგ შემთხვევაში გოგირდმუავა. მთელი (დაუზიანებელი) კასრის დამუშავება მიზანშეწონილია წყლით, ტუტე ხსნარით, მღულარე წყლით და კარგი გარეცხვით. კასრის ხანგრძლივი დასველება, წყლით გავსება ყველაზე უფრო კარგად სპობს ჭარბ გოგირდმუავა ანჭიდრიდს. ცარიელი კასრების დიდი ხნით შენახვის დროს ხის დაზიანების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისინი შევინახოთ წყლით სავსენი და დავუმატოთ 30—50 მგ/ლ გოგირდოვანი ანჭიდრიდი.

ხის კასრების სპეციალიზაცია ხდება ორთქლით ან გოგირდოვანი ანჭიდრიდით.

ორთქლით დამუშავება (კასრების გაცხელება 90—95°-



მდე 30 წთ) ხეს აზიანებს. ამ წესით ამუშავებენ ლიტერატურას ცისტერნებს და იშვიათად ხის კასრებს.

კასრების გაორთქვლა შეიძლება აგრეთვე ლია ჰაერზე, ლაგერებზე. ყველაზე უფრო მიზანშეწონილია კასრების სტერილიზაცია გოგირდოვანი ანპიღრიდით. ამისათვის საცობის ნახვრეტიდან კასრში შეაქვთ 10 მგ/ლ გოგირდოვანი ანპიღრიდი და ტოვებენ მთელ ღამეს ან 3—4 საათით, შემდეგ კასრს გამოავლებენ წყალს და ტოვებენ არანაკლებ ერთ დღეს.

შეიძლება აგრეთვე ორთქლით დამუშავება შევუფარდოთ გოგირდოვანი ანპიღრიდით დამუშავებას: ჯერ ორთქლით დავამუშაოთ და შემდეგ შევიტანოთ 10 მგ/ლ გოგირდოვანი ანპიღრიდი. ამ შემთხვევაში საკმარისია სამ საათს დაყოვნება, რის შემდეგ შეივსება სტერილური წყლით.

მეღვინეობაში, გარდა ხის კასრისა, ხმარებაშია დიდი ტევა-დობის ხის ჭურჭელი — ჩანები, ბუტები.

ჩ ა ნ ვ ა ბ ი


ჩანს აქვს წაჭრილი კონუსის ფორმა, თავსახურით ანდა ღრა. დახრის კუთხეა 8—10° (ნახ. 3). ჩანის მოცულობა გამოითვლება ფორმულით:

$$V = 785,7 h \left(\frac{d_1 + d_2}{2} \right)^2 l$$

h არის შიგა სიმაღლე მ-ში,

d_1 — ჩანის კონუსური ფუძის შიგა დიამეტრი მ-ში,

d_2 — ზედა ღიამეტრი მ-ში,



ნახ. 3. ჩანები

ჩანის ძირითადი ზომებია;

ც ხ რ ი ლ ი 2

ტევადობა ლ-ში	გარე ზედაპირი		შეგა დიამეტრი
	დიამეტრი	სიმაღლე	
2500	1580/1460	1750	1480/1360
3500	1800/1880	1840	1685/1560
4000	1900/1750	1925	1765/1635
6000	2075/110	2150	1875/1680
6000	2180/1905	2575	1935/1765
7000	2260/2040	2450	2100/1890
8000	2470/2180	2690	2270/2020
10000	2570/2250	2770	2350/2100



ჩანები გამოიყენება ბადაგის დაყოვნებისა და დურტელის
თვის ჭაჭაზე, ღვინის ან ღვინოშისალის დროებითი შენახვისა-
თვის.

გ უ ტ ე ბ ი

ბუტებიც ხის ჭურჭელს მიეკუთვნება, მრგვალი და ოვალუ-
რია. ოვალური ბუტი უფრო ნაკლებ ადგილს იკავებს, ვიდრე
მრგვალი (ნახ. 4).

მრგვალი ბუტის მოცულობა კასრის ფორმულით განისა-
ზღვრება, ხოლო ოვალური ბუტის მოცულობა შემდეგი ფორ-
მულით:

$$V = 21,37 \text{ h} (2L + 2L_0 + l + l_0)^2 \text{ ლ-ში}$$

L და L_0 არის დიდი და პატარა ელიპსის ღერძის სიგრძე,
გამობურცული მ-ში;


l და l_0 — დიდი და პატარა ელიპსის ღერძის სიგრძე ფუ-
ძეზე მ-ში.

h — მანძილი ფუძეებს შორის მ-ში.

მრგვალი ბუტის ძირითადი ზომები მოცემულია მე-3
ცხრილში, ხოლო ოვალურისა მე-4 ცხრილში.

ც ხ რ ი ლ ი 3

ტევადობა ლ-ში	გარე ზედაპირი				შიგა ზედაპირი		
	სიმაღლე	დამეტრი		სიმაღლე	დამეტრი		
		გამოზნე- ქილის	თაღის		გარე ზე- დაპირი	ფუძეებს შორის	გარე ზე- დაპირი
5000	1980	2110	1840	1690	2020	1780	1810
8000	2270	2460	2150	1970	2370	2090	2120



ଚାକ. 4. ଶୁର୍ମେଧି

ପକ୍ଷରୀଲିଙ୍ଗ 4

ଶ୍ରୀପାଦନଥ ଜ-ଶି	ତାଳିର ଦିଲାଖେତିରି	ଦିଲାଖେତିର ଗାମ- ନିନ୍ଦାକିଳିଶି	ଗାର୍ହ ସମାଲଲ୍ଲା
9000	2286/2990	2480/3296	2400
8000	1870/2430	2060/2740	2300
7000	1738/2272	1921/2 97	2 00
6000	1698/2210	1806/2402	2260
5000	1611/2093	1718/2286	2060



ბუტის ოვალურობა ძალიან მოსახერხებელია ღერმულობა
დომისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის გაწევი-
სას. ბუტები იხმარება როგორც ღვინის ღულილის, აგრეთვე
შენახვისთვის. შედარებით დიდი წაცულობის ბუტები გამო-
ყენება კუპაჟისათვის, მაგრამ მას ნაკლიც აქვს.

რკინა-ბეტონის რეზირვაცია

ღვინის მრეწველობაში გამოიყენება აგრეთვე რკინა-ბეტო-
ნის რეზერვუარი ღულილისა და ღვინის დროებითი შენახვი-
სათვის. მასში ახდენენ აგრეთვე კუპაჟს, ასამბლიაჟს, გაწებვას
და სხვადასხვა ტექნოლოგიურ ოპერაციას. რკინა-ბეტონის
რეზერვუარის მოცულობა დანიშნულების მიხედვით სხვადა-
სხვაა. მაგალითად, ღვინის შენახვისათვის გამოიყენება 1000,
1500 და 2000 დალ, ხოლო დიდი რაოდენობის ღვინის კუპა-
ჟისათვის — 5000, 10000 დალ. იგი პარალელოპიპედისა და ცი-
ლინდრული სახისაა (ნახ. 5).

პარალელოპიპედისებური რკინა-ბეტონის რეზერვუარის
შოცულობა გამოითვლება ფორმულით;

$$V = 100a b h\text{-დალ}$$

a — რეზერვუარის შიგა სიგრძე მ-ში

b — რეზერვუარის შიგა სიგანე მ-ში


h — რეზერვუარის შიგა სიმაღლე მ-ში

ცილინდრული რეზერვუარის შოცულობა:

$$V = 100 \frac{\pi D^2}{4} a$$

D — რეზერვუარის შიგა დიამეტრი მ-ში,

a — შიგა სიგრძე მ-ში.



155 + 62
206

ნახ. 5. რეინა-ბეტონის რეზერვუარები

ღვინის დასაცავად კირისა და რეინის მოქმედებისაგან რეზერვუარს ფარავენ ცემენტით. მინის სქელ კვადრატულ ფილებაც იყენებენ. მინის ფილები კარგად უნდა იყოს დაფენილი ჰელელზე, რომ ღვინომ არ გაჟონოს და მიკროორგანიზმებს განვითარების საშუალება არ მისცეს. კარგია შიგა ზედაპირის დამუშავება ისეთი ნივთიერებით, რომელიც კირთან იძლევა ღვინოში უხსნად ნაერთთა შრეს და ღვინოს იცავს ცემენტის მავნე გავლენისაგან.

რეინა-ბეტონის რეზერვუარის უზრუნველყოფა არის არის,

მ. თ. სიხარულიძე

17



რომ მისი კედლები უანგბადს არ ატარებს, რის გამო უანგბადი განვითარების პროცესი ძლიერ ფერხდება.

რკინა-ბეტონის რეზერვუარის მოვლა. ღვინის ჩასხმადე ახალი რკინა-ბეტონის რეზერვუარებს ავსებენ წყლით 20—30 სმ-ზე და ამოლესავენ დაუშლელი კირით ერთ დეკალიტრ წყალზე 50—100 გ გაანგარიშებით. კედლებს პერიოდულად ასველებენ. რეზერვუარების ღიად ხმარება რეკომენდებული არ არის.

ყურძნის წვენისა ღია ღვინისაგან განთავისუფლების შემდეგ მათ გულმოდგინედ რეცხავენ სუფთა ცივი წყლით. თუ საჭიროა, გამოყენებული უნდა იქნეს რეზინის ან პლასტმასის ჭავარისი. განსაკუთრებით კარგად უნდა გაირეცხოს კუთხეები, სადაც შესაძლოა დარჩეს ღვინის წვეობი — მიკროორგანიზმების გავრცელების არე.

თუ ჰაერი ძალიან მშრალია და ტემპერატურა მაღალი, რკინა-ბეტონის რეზერვუარებში უნდა ჩაისხას წყალი, რომელშიც შემდეგ გავხსნით 1 გ კალიუმის პერმანგანატს ერთ დეკალიტრ წყალზე ან 50—100 გ დაუშლელ კირს იგივე მოცულობის სითხეში. ყოველივე ეს რეზერვუარს იცავს ბზარების გაჩენისაგან.

რეზერვუარი წყლის გამოვლების შემდეგ კარგად ინახება ნესტიან სარდაფშიც. ზედაპირის სტერილიზაციისათვის რეზერვუარში იდგმება შუშის ქილა 40%-იანი ფორმალდეჰიდით. ხმარებამდე 1—2 დღით აღრე რეზერვუარს ანიავებენ და კარგად ავლებენ წყალს.

თუ რეზერვუარის ზედაპირი დაფარულია მუავიანი ხსნარით, სტერილიზაცია გოგირდის მუავათი არ არის დაშვებული.

რეზერვუარებს, რომელთა ზედაპირი მდგრადია გოგირდ-



მეავას მიმართ (პოლიეთილენი, ვინიპლასტი, ეპოქსიდურიაფილი, სები) ხურავენ სარქველით. მათში უნდა იყოს ჭურჭელი გოგირდის ან პილრიდის 2—3-პროცენტიანი ხსნარით.

ბაკელიტით დაფარული ზედაპირის ტუტე ხსნარებით დამუშავება რეკომენდებული არ არის. შუშის ფილებით დაფარული რკინა-ბეტონის რეზერვუარების ცხელი წყლით გავსება ან მასში ორთქლის შეყვანა არ შეიძლება, ვინაიდან ტემპერატურის სწრაფი გადაცემისას დასკდება.

ემალირებული რეზერვუარები სუფთავდება ცივი ან თბილი წყლით. ტუტე ხსნარების გამოყენება დაუშვებელია. შეიძლება გამოვიყენოთ კალიუმის პერსაზგანატის 0,4%-იანი ხსნარი ან გოგირდმჟავას 1%-იანი ხსნარი.


თუ ზედაპირი დაფარულია პარაფინით, მას რეცხავენ ცივი ან თბილი (30°) წყლით. იყენებენ აგრეთვე გოგირდმჟავას 1%-იან ხსნარს.

ლაქით დაფარული ზედაპირი არამდგრადია გოგირდმჟავას ხსნარის მიმართ, ამიტომ მისი გამოყენება ზედაპირის დამუშავებისას არ არის მიზანშეწონილი.

ნფ—76 ლაქით დამუშავებული რეზერვუარები შეიძლება გაირეცხოს წყლით, კაუსტიკური სოდის 5—7%-იანი ხსნარით და გოგირდმჟავას 1%-იანი ხსნარით. სტერილიზაციისათვის შესაძლებელია გოგირდმჟავას ხსნარის გამოყენება.

ზოგიერთ ღვინის ქარხანაში კედლების სტერილიზაციისათვის იყენებენ შესხურების მეთოდს ეთილის სპირტით, რაც მიზანშეწონილი არ არის, რადგან სპირტი მიკროორგანიზმების საკვები არეა. გარდა ამისა, შეიძლება აგვიფეთქდეს.

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ იყენებენ ლითონის ცისტერნებს წითელი და თეთრი ღვინოების დუღილისათვის, ჩილეულისა და შამპანური ღვინოების წარმოებაში. ნახ. 6.



ნახ. 6. ლითონის ცისტერნები

ლითონის ცისტერნების ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ ადვილად ირეცხება, ყოველთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის თეთრი და წითელი ღვინოების შესანახად, საჭიროების



შემთხვევაში ადეილია მისი სტერილიზაცია და სტერილური მღვმარეობაში კარგად ინახება.

ამ ჭურჭლით შენახვისას ძლიერ მცირდება ღვინის დანაკარგი და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს თავის თვისებებს.

ცისტერნებში შესაძლებელია შევინახოთ ან ვადუღოთ სითხე. 3—8 ატმ. წნევის ქვეშ, ამიტომ მას იყენებენ აგრეთვე შამპანური ღვინის წარმოებაში. კარგი მოვლა-შენახვის პირობებში ცისტერნები უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე კასრები.

ცისტერნის ხარისხი და გამძლეობა დამოკიდებულია ლითონის ხარისხზე და შიგა ზედაპირის დაფარვაზე.

ლითონის ცისტერნის შიგა ზედაპირი და ფარვა. ლითონის ცისტერნის შიგა ზედაპირი შესაძლებელია დაიფაროს უჟანგავი ფოლადით, ემალით, აგრეთვე მუავაგამძლე ხელოვნური პლასტმასებით და განსაკუთრებული ნივთიერებებით.

უჟანგავი ფოლადით დაფარული ლითონის ცისტერნის შიგა ზედაპირი გამოიყენება ღვინის დუღილისა და შენახვისათვის, მუავაგამძლე დაფარვა 1 : 10 შეფარდებით არ მოითხოვს შიგა ზედაპირის სხვა ნივთიერებებით დამუშავებას. ასეთი სახის ცისტერნები ეკონომიური თვალსაზრისით ძვირია.

ემალი წარმოადგენს მინის მსგავს გაუმჯობესებულე მასას და გამოიყენება ლითონის საგნების ზედაპირის დაუანგვისაგან დასაცავად. მეღვინეობაშიც ლითონის ცისტერნების შიგა ზედაპირის დასაფარავად გამოიყენება. ემალი უნდა იყოს მუავათა და სპირტის მაღალი ტემპერატურისა და უეცარი გაცივების



მიმართ გამძლე. ცისტერნები უძლებს შინაგან წნევას, მაგრამ ვერ უძლებს დარტყმებს, რაც იწვევს ბზარებს. ხშირ შემთხვევა ვაში წარმოიქმნება უანგი. ასეთი ადგილების რემონტი ძნელდება და დიდ დროს მოითხოვს. ემალირებულ ცისტერნებს ფრთხილად უნდა მოვექცეთ. გასუფთავების დროს არ შეიძლება მასში შესვლა რკინისლურსმნიანი ფეხსაცმელებით, საჭიროა რეზინის ფეხსაცმელების გამოყენება, ვერიდოთ დარტყმებს რკინის ინსტრუმენტების გამოყენებისას.

ლითონის ცისტერნების დაფარვა შესაძლებელია აგრეთვე სპეციალური მუავაგამძლე ხელოვნური პლასტმასებით. მათი გამოყენებისას ზედაპირი უფრო ელასტური და გამძლე ხდება დარტყმების მიმართ. ტემპერატურის ცვალებადობა წნევას და ორთქლსაც უძლებს. მასზე არ მოქმედებს გოგირდის ან-ჰიდრიდი; ტუტების მიმართაც არამდგრადია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, განსაკუთრებულ როლს თამაშობს სპეციალური ნივთიერებები, როგორიცაა ფერონიტი, რომელიც თხევად მდგომარეობაში გამოყენება ლითონის ზედაპირის დასამუშავებლად.

ამ ნივთიერებათა გამოყენება ძალიან იაფია, ისინი ელასტური და წნევის მიმართ გამძლენი არიან. დარტყმებს და გაცხელებას ვერ უძლებენ. მათი რემონტიც ადვილია.

გარე ზე დაპირის მოპირკეთება. ლითონის ცისტერნების მოპირკეთება განსაკუთრებით აუცილებელია ნესტიან სადგომებში. დაუანგვის წინააღმდეგ ბრძოლა ზრდის ცისტერნების ექონომიურ მხარეს. დაფარული შიგა ზედაპირი დაახლოებით 5—6 წელიწადს ძლებს. სასურველია, რომ მოპირკეთებული გარე ზედაპირიც დიდხანს ძლებდეს.

ლითონის ცისტერნების დაფარვა მიზანშეწონილია ქლო-



რიზებული კაუჩუკისაგან დამზადებული ლაქით ან ბიტუმინოვანი
ბური ნივთიერებებით. დაღვენილია, რომ ლაქებით დაფარული
ზედაპირი ძლებს 1—2 წელს.

ლითონის ცისტერნების სიღილე და ფორ-
მა. წარმოების მოთხოვნილების მიხედვით ლითონის ცის-
ტერნების სიღილე და ფორმა სხვადასხვაა. მისი ზომა მოცე-
მულია ცხრილში.

ცხრილი 5

სახე	მისალა	დიამეტრი მმ-ში	სიგრძე (სიმაღლე) მმ-ში	ტევალობა დალ-ში	მასა კგ-ში
პორტონ- ტილური	ფოლადის	1800	4500	1200	1600
		1800	4000	1100	1490
		1800	3500	1000	1000
		1800	3000	860	960
		1800	2500	730	860
		1500	2500	700	820
		1500	3000	600	780
		1500	2500	600	700
		1500	2000	420	628
		1800 2000		დამოკიდებული შეკვეთაზე	
ვერტი- ტილური	ფოლადის	1800	3000	860	960
		1800	2500	730	860
		1500	3000	600	780
		1500	2500	500	700
		1500	2000	420	628
	ალუმინის	1800 2000		დამოკიდებულია შეკვეთაზე	



სათავსოების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით უმრავლესოდაც იძლება დიდი ზომის ჭურჭელია საჭირო, როთაც მარტივდება ღვინის რეალიზაცია, მაგრამ გართულებულია მორევის პროცესები და გაწებვა, რაც განპირობებულია ღვინის ფენის სიმაღლისა და წნევის სხვადასხვაობით.

2,5 მეტრზე მეტი სიმაღლის ცისტერნებში ეს განსხვავება იგრძნობა გემოში, ამის საფუძველზე პორიზონტურმა ცისტერნებმა უფრო დიდი პრაქტიკული აღიარება პოვეს, ვიდრე ვერტიკალურმა.

ცისტერნის ფორმა დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე. ღვინის შესანახად უმეტეს შემთხვევაში იყენებენ პორიზონტურ-ცილინდრული ფორმის ცისტერნებს, რომლის დიამეტრის ფარდობა სიგრძესთან არ უნდა აღემატებოდეს საშუალოდ $1 : 1,5$ ან $1 : 2$ -ს, ვინაიდან ძალიან გრძელ ცისტერნებში მორევა ძნელდება. განსაკუთრებულ შემთხვევებში უპირატესობა აქვს კონუსურ ცისტერნებს. ტუმბოთი მორევის პროცესი კონუსურ ცისტერნებში დიდ წინააღმდეგობას ხვდება, რადგან არმატურა მოთავსებულია ერთ მხარეზე. ეს ფორმები მოხერხებულია საღულარი ცისტერნებისათვის.

თეთრი და წითელი ღვინის შესანახი ცისტერნები

ლითონის ცისტერნები შეიძლება გამოყენებულ იქნას ღვინის შესანახად, აგრეთვე წვენის დუღილისათვის. ამ შემთხვევაში დუღილზე გავლენას ახდენს ტემპერატურის ცვლილება. ტემპერატურის რეგულირება შესაძლებელია მეორე პერანგით ან მორწყვით.

ცისტერნების არმატურაში შედის ნალექების ჩასასხმელი

(კენტილიტა და სახურავით) ან ზოგჯერ დამატებითი გადმოვადა
სასხმელი გაშენდილი ღვინისათვის, სავალი, საცდალი ლნკა-
ნი და სხვ

კარგი მორევისათვის ჩასასხმელი, ისევე როგორც ნარიე-
ნების გაღმოსასახმელი, წარმოადგენს შტუცერს ფლანცებით
80—210 მმ დიამეტრით, რათა უკეთ განთავისუფლდეს წებო-
სა და საფუვრის ნალექებისაგან.

თეთრი ღვინის დასაღულებელი ცისტერნები

თეთრი ღვინის დასაღულებლად გამოიყენება ტანკები, რომ-
ლებიც უძლებენ შინაგან წნევას და ტანკები, რომლებშიც ხდე-
ბა ტემპერატურის რეგულაცია. ტანკს, რომელიც უძლებს
შინაგან წნევას, შეუძლია ღულილის შენელება, და-
წერება კი არა. ტემპერატურის რეგულირება წარმოებს ცხელი
წყლით. ტანკს გარშემო უწყობენ ტომრებს, მაფილტრებელ
ქსოვილს და რწყავენ ნახვრეტებიანი მილიდან ცხელი წყლით.

ღულილისათვის მზადდება 3 და 8 ატმ-მდე წნევის გამარტ-
ტანკები. ტანკები შიგა წნევით უნდა აკმაყოფილებდეს უსა-
ფრთხოების მოთხოვნილებებს, ან სხვანაირად რომ ვთქვაო,
ქვაბის ზედამხედველობის წესებს.

ზედმეტი წნევა მათში შესაძლებელია აღემატებოდეს 0,5
ატმოსფეროს.

1000-ლიტრიანი ტანკები, რომლებიც უძლებენ ყველაზე
მეტ — 0,5 ატმ-მდე სამუშაო წნევას, აუცილებლად უნდა შე-
მოწმდეს მიღებისას.

ოუ ტანკების მოცულობა არ აღემატება 50 ლიტრს და



ლიტ-წნევა¹ კი 100-ს ან 50 ლ-ზე მეტი მოცულობის შემოწმდება ნამრავლი 500-ზე ნაკლებია, ტანკები უნდა შემოწმდეს მუშაობისას (ქარ-ხანაში) ჰიდრავლიკური წნევით, ხოლო ჭურჭელი, რომლის შეცულობა 50 ლ-ზე მეტია, ლიტ-წნევა კი 500-ზე ზე-ვით ($8 \times 10000 = 80000$) და სამუშაო წნევა — 0,5 ატ-მოსფეროზე მეტი, უნდა შემოწმდეს წინასწარ და შემდეგ რეგულარულად დროის გარკვეულ მონაკვეთებში.

ეს მაჩვენებლები ვრცელდება მელვინეობაში გამოსაყენე-ბელ თითქმის ყველა ტანკზე შინაგანი წნევით.

ყველა წნევის გამძლე ტანკი აღჭურვილი უნდა იყოს მტკი-ცე საფირმო ფირფიტით, რომელზედაც აღნიშნული იქნება: ფირმის სახელწოდება, ფაბრიკის ნომერი, გამოშვების წელი, მოცულობა ლიტრებში, სამუშაო წნევის დასაბეჭდი საზღვარი (ატმ). ხელახალი შემოწმება საჭიროა ყოველ 4 წელიწადში, შინაგანი დათვალიერება კი — ყოველ 8 წელიწადში. ყველა ცისტერნა უნდა იყოს რეგისტრირებული ქვაბების მეთვალ-ფურეობის ინსპექციაში.

დასადუღებელი ცისტერნა ტემპერატურის რეგულირები-სათვის მეორე პერანგით უნდა აღიჭურვოს, რითაც შეიძლება ტანკის გათბობა ან გაცივება, ე. ი. პერანგს შიგნიდან დაუანგ-ვის მიდრეკილება აქვს, რაღაც ჩვეულებრივი შიგა ზედაპირი დაცული არ არის ხოლმე. დაუანგვისაგან დასაცავად საჭიროა 5%-იანი სოდის ხსნარის ცირკულაცია დუღილის შემდეგ, გა-

¹ ლიტ-წნევა წარმოადგენს ყველაზე დიდი წნევის ნამრავლს მოცულო-ბასთან ლიტრებში.



მაცივებელი პერანგის გაშრობა და სოდის ფენის წარმოქმნა
რკინაზე.

ორმაგ პერანგში გაცივება ხდება გამაცივებელი სითხის
დახმარებით. ჩვეულებრივი წყლის გამოყენებითაც კი მისი და-
ნახახული მეტად დიდია, მით უმეტეს, თუ წყლისა და ტანკში
მდგომი სითხის ტემპერატურა სულ რამდენიმე გრადუსით გან-
სხვავდება. წყლის წინასწარი გაცივება კი დაკავშირებულია
ძვირად ღირებულ დამატებით დანადგარებთან.

თუ გამაცივებელ სითხედ მარილხსნარი გამოიყენება, მაშინ
გაცივება ძლიერ სწრაფად მოქმედებს. კარგ გაცივებას შეიძ-
ლება მივაღწიოთ წყლისა და სპირტის ნარევის ან წყალში
გახსნილი გლიკოლის გამოყენებისას. ამ დროს პერანგის ლი-
თონის კოროზია არ ხდება.

წითელი ღვინის დასადუღებელი ცისტირნები

წითელი ღვინის დასადუღებელი ტანკები ვერტიკალურად
იღგმება. დაღულების ხერხის მიხედვით ხმარობენ დახურულ
ან ღია ცისტირნებს დაძირული (ორმაგი) ფსკერით. უკანასკ-
ნელ ხანებში გამოიყენება ტანკები, რომლებიც სამ ატმ-მდე
წნევას უძლებენ. წითელი ღვინოების დასადუღებელი ტანკე-
ბისათვის უნდა მოეწყოს გათბობა, რადგან დუღილის ტემპე-
რატურა დიდ როლს თამაშობს საღებავ ნივთიერებათა გარდაქ-
მნაში. გარდა ამისა, დურდოს ჩატვირთვისა და დაცვისათვის
ტანკს უნდა ჰქონდეს სავალი და საძრომელი. ისინი საკმაოდ
გამძლენი უნდა იყვნენ. ზედმეტი წნევისათვის განკუთვნალ
ტანკებში უნდა მოეწყოს განათება, სათვალთვალე მინა და
საჭიროების შემთხვევაში ხელსაწყო, რომლითაც მოხდება




დუღილისათვის ნახშირმჟავას მიწოდება ან მოცილებულ ფერების მიზნით.

ტემპერატურის რეგულირება ხდება გარე ზედაპირის მორწყვით, სითხე გროვდება სპეციალურ შემგროვებელ აბაზანაში; რეზერვუარების რწყვისას ყურადღება უნდა მიექცეს დამცველ ფენას, რომელიც ტანკის ზედაპირს ფარავს.

ტემპერატურისა და წნევის რეგულირება შეიძლება ავტომატურად თვითხამშერი ხელსაწყოს დახმარებით.

გარდა წნევის არმატურისა და ტემპერატურის რეგულირებისა, აგრეთვე დუღილის ჩატვირთვისა და დაცვისათვის საგალისა და საძრომის გამოყენებისათვის საჭიროა აგრეთვე ტანკს ჰქონდეს დიდი ბადე სითხის შეკავებისათვის. წითელი ღვინოების დუღილისათვის შეიძლება წარმატებით გამოვიყნოთ ჰორიზონტალური ტანკებიც, რადგან ამ დროს სითხის ჭუდი მაღლა არ აიწევა და საღებავი ნივთიერებები წვენში გადავა.



ნახ. 7. წითელი ღვინის დასაღუღებელი ტანკების ფოტოები.



ქუდის გახსნილი ფენა პორიზონტალურ ტანკში წნევის საცავადი
ცარი დაცემისას უფრო უკეთ იმტვრევა, ვიდრე ჩევრივი ფენა
ვიწრო და მაღალი ვერტიკალურ ტანკში. რა თქმა უნდა, დურ-
დოს გადმოტვირთვა პორიზონტალური ტანკიდან რამდენად-
მე ძნელია, ვიდრე ვერტიკალურიდან.

ლითონის ცისტერნების მოვლა დიდი მნიშვ-
ნელობა აქვს ლითონის ცისტერნების შიგა და გარე ზედაპირის
მოვლას. ცარიელი ცისტერნები სუფთად უნდა ვიქონიოთ. შე-
სხურებისა და გაშრობის დროს ცისტერნების სარჯველები
საჭიროა ღია იყოს. შიგა ზედაპირი ფრთხილად უნდა გაი-
წმინდოს და გარეცხვის შემდეგ შემოწმდეს, ხომ არ დაშიან-
და. ცისტერნების გარეცხვა წარმოებს ფრქვევანებით. დიდ სა-
წარმოებში ტუტე და ორთქლი გამოიყენება. საერთოდ მი-
ღებულია 25%-ანი ტუტის ხსნარი.

გარე ზედაპირი სუფთა უნდა იყოს, საჭიროა თვალყური
ვადევნოთ ვენტილებს, განსაკუთრებით დამცველ პარატუ-
რას.

აკრატაფორი (ფროლოვ-ბაგრევის სისტემის)


აკრატაფორის დანიშნულებაა ღვინომასალებში დუღილის
პროცესის წარმართვა. იგი წარმოადგენს 2 ნაწილისაგან შემ-
დგარ ფოლადის ცილინდრულ რეზერვუარს. ლითონის შიგნი-
დან დაფარულია სპეციალური ემალით, ბაკელიტით (ხელოვ-
ნური ფისი).

რეზერვუარის ნაწილები ერთმანეთთან შეერთებულია მილ-
ტუჩით. ცილინდრის ქვედა და ზედა ფსკერი სფერული ფორ-
მისაა. ყელი ჰერმეტულად იხურება ხუფით. გარედან ცი-
ლინდრს მთელ სიგრძეზე სამი პერანგი აქვს ჩამოცმული: ზედა,
შუა და ქვედა (ფსკერის). პერანგის შიგნით ცივი ან ცხელ-



წყალი გადის. ზედა ორ პერანგში მაცივარი აგენტის გაფრთხევა
ბით შამპანური ცივდება მინუს 5° -მდე, მესამე კი ესკიზში და-
გროვილი თხლის გაყინვას იწვევს (-18°), რათა ლექმა ვერ
შეძლოს მზა ნაწარმის ამღვრევა. ეს მეთოდი უახლოვდება კლა-
სიკურ მეთოდს.

რეზერვუარული ნარევის დუღილით და იმავე ჭურჭელში
მისი გაცივებითა და დაწყობით იკრატაფორი ხარისხის გაუმ-
ჯობესების გარდა, იძლევა ეკონომიას.



ნახ. 8. იკრატაფორი

ხარისხიანი ღვინის დაყენება დიდადაა დამოკიდებული ჭურჭელზე. ჩვენში კახური ტიპის ღვინოებს აყენებენ ქვევრებში, რაც ძალიან კარგ შედეგს იძლევა.

ქვევრი ისტორიულად ცნობილი ჭურჭელია. იგი გამოიყენება როგორც ღვინის დასაყენებლად, ისე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მის შესანახად. ქართველი ხელოსნები განთქმული იყვნენ ხარისხიანი ქვევრების დამზადებით.


ქვევრი ის აღწერა და დანიშნულება. ქვევრი წარმოადგენს სპეციფიკური ფორმის თიხის ჭურჭელს და სამი ნაწილისაგან შედგება: ძირითადი, ანუ ქუსლი, ტანი და ყელა. ქუსლი ქვევრის სქელი ნაწილია და მის საყრდენს წარმოადგენს, ტანი — შუა მოცულობა, ყელი კი მისადგომი აღვილი. ნახ. 9.

ქვევრს ვიწრო ყელი აქვს, რათა ღვინის ზედაპირს ნაკლები ჰაერი შეეხოს და გააადვილოს მისი ჰერმეტული დახურვა როგორც წესი, ღვინის შენახვისას ქვევრს ყელზე აფარებენ ტყავის ნაჭერს ან კაკლის ფოთოლს, ზემოდან აღებენ ბრტყელ სიძ ქვას და თოხით ლესავენ ჰერმეტულობისათვის.

ვიწრო ყელი ართულებს ქვევრის მომსახურებას, ძნელი ხდება მისი გარეცხვა, ნარჩენების ამოლება, ტკბილის ჩასხმა და სხვ., რის გამოც ქვევრის ყელის დიამეტრს საზღვრავენ ტევადობის მიხედვით.

ქვევრის ტანი წარმოადგენს მუშა ნაწილს. რაც მეტი ტევადობისაა ქვევრი, მით მეტია მისი ტანის დიამეტრი.

ქვევრის ძირი დაახლოებით კონუსური ფორმისაა, რაც ნაკარნახევია თვით ქვევრის დამზადების ტექნოლოგიით.





ღვინის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ქვევრზე, მრავალი მრავალი წლის დაკვირვებები აღასტურებს. ქვევრის ფორმა, ზომა და ტევადობა დამოკიდებულია ოსტატის გამოცდილებაზე. მასზე ჯერჯერობით არავითარი სტანდარტი არ არსებობს.


ქვევრებს ამზადებენ საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ რაიონებში. დამზადების ტექნოლოგია მეტად უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ქვევრებს ამზადებენ სპეციალური საქვევრე თიხისაგან, რომელიც მიწის ზედაპირიდან ორ მეტრ სიმაღლეზეა. ფენის სისქე დაახლოებით ორი მეტრია, დანარჩენი კი ფუჭი ქანებია. თიხის ამოღება ხელით, პრიმიტიულად წარმოებს.

საბადოდან ამოღებულ თიხას აშრობენ ბუნებრივი წესით ატმოსფერულ ტემპერატურაზე. თიხას შლიან მიწაზე თხელ ფენად, ატმოსფერულ სითბოს და ჰაერის მოძრაობის გავლენით ხდება თიხაში მყოფი სინესტის აორთქლება. ამის შემდეგ თიხას აფხვიერებენ ხის ცილინდრებით, შემდეგ კი ცრიან ხის საცრებით მავნე მინარევების მოსაცილებლად. თიხის, ქვიშისა და წყლის ნარევით ამზადებენ სპეციალურ ცომს.

ცომის მომზადება


ცომის მოსამზადებლად იღებენ გარკვეული რაოდენობის დაფშვნილ გაცრილ თიხას, ურევენ $20-25\%$ ქვიშის და ასხამენ დაახლოებით 30% წყალს, შემდეგ ამ ნარევს მოზელენ სპეციალური მოწყობილობით ხის კასრით (4). კასრს ზედა ნაწილი ღია აქვს. შიგ ჩადგმულია ლილვი (3) ჭადრაკულად განლაგებული ფრთებით (5). ლილვი კასრზე დამაგრებულია საკისარებით (6 და 8). ლილვის ზედა ნაწილზე ხისტად წამო-




ნახ. 10. ცომის მოსაზელი მოწყობილობა

ცმულია ბერკეტი (7). ლილვს შეუძლია თავისუფლად ბრუნვა საკისურებში. კასრს ძირთან ახლოს ერთ მხარეს აქვს სარკმელი, რომელიც იხურება ჩამკეტით (2). მთელი ეს მოწყობილობა დადგმულია საღვამზე (1).

ცომი მზადდება შემდეგი თანმიმდევრობით. ზემოთ აღწერილი წესით მომზადებულ ნარევს ჰყრიან კასრში. ამ დროს ჩამკეტი სარკმელი (2) დაკეტილია. ბერკეტს (7) ხელით ანდა სხვა საშუალებით (კერძოდ ცხენით) აბრუნებენ კასრის გარშემო. ფრთების ბრუნვის საშუალებით ხდება თიხის, ქვიშის და წყლის ინტენსიური არევა. გარკვეული დროის შემდეგ აღებენ



ნახ. 13. ქვევრის გამოსაწვავი ქურა







ჩამკეტს და მოზელილ თიხას გადმოტვირთავენ, ერთხელ უძირისა დევ გადაზელავენ ხელით და რამდენიმე ხანს დააყოვნებენ. მისგან ხელით ამზადებენ ცილინდრებს ანუ ეგრეთწოდებულ სორსოლებს, რომელსაც ქვევრის ტანის ამოსაყვანად იყენებენ. სორსოლების სიგრძე დაახლოებით 400 მმ-ია.

ქვევრის დამზადება

ქვევრის დამზადებას ოსტატი იწყებს ძირიდან (ნახ. 11). ჯერ იღებს ხის ჩარხს, რომელიც წარმოადგენს ხის დისკოს (1) და ხისსავე საყრდენს (2). დისკოს შეუძლია თავისუფლად ბრუნვა ღერძის გარშემო.

ოსტატი დისკოზე დებს სპეციალური თიხის გუნდას. ერთი ხელით დისკოს აბრუნებს, მეორე ხელით კი იწყებს ქვევრის ტანის გაზრდას დაახლოებით 15—10 სმ სიმაღლემდე, შემდეგ იღებს სპეციალურ სამარჯვს, ე. წ. გონგს, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული ფორმის ხის ნაჭერს. ნახ. 12. ასველებს მას წყალში და ჩარხის ბრუნვასთან ერთად ასუფთავებს და ასწორებს დამზადებული ქვევრის ნაწილს. გასუფთავების შემდეგ ცერი თითოს დაჭერით აძლევს ფორმას, ხსნის ჩარხიდან და დგამს ფიცარზე. ქვევრის სიმაღლეს მეტად არ ზრდიან. რადგან საჭიროა მისი გაშრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული ფორმის დაშლა თავისი წონის ზეგავლენით. გაშრობის დროს მისი ზედა ნაწილიც შრება, რაც შეუძლიბელს ხდის ქვევრის სიმაღლის შემდგომ ზრდას. ამიტომ ზედა ნაწილს აფარებენ სველ ნაჭერს, ანდა ხის ფოთლებს, მანამდე კი მას ჰქონდენ ხარალით (ხის ქერქის გრძივი ნახევით),




ნახ. 12 გონგი

შესაძლებელია ხარისხის მაგივრად ტყავის თასმაც გაშოვიყვნოთ.

შრობა წარმოებს ბუნებრივი წესით ($20-25^{\circ}$ საშუალო სინესტეზე), მაგრამ არამზეზე, რათა არ დაიბზაროს, რასაც გამოიწვევს წყლის სწრაფი აორთქლება. შრობა 2—3 დღეს გრძელდება. შემდეგ, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, სორსოლებით აწარმოებენ ქვევრის დანარჩენი ნაწილის გამოძერწვას. 15—20 სმ მიმატების შემდეგ იგივე წესით უკრავენ თავს, აფარებენ ფოთლებს და 2—3 დღეს აშრობენ. ასე გრძელდება ეს პროცესი ქვევრის სრული ფორმის მიღებამდე.

ქვევრის კედლის სისქე, დაწყებული ძირიდან დაშთავრე-



ჩა. 17. ქვევის დამზადების ტექნოლოგიური სქემა:

1. თასის ტრანსპორტირება სიბადოდან წარმოებამდე. 2. ბენზინის შრომა და გაცემა. 3. ფასტენი. 4. ქვევის ტრანსპორტირება სიბადოდან წარმოებამდე. 5. ქვეშის გაცემა. 6. ნაზვების მომზადება. 7. ცომის მომზადება და მოშეღვა. 8. სორსოლების მომზადება. 9. კელის გამოყენება და ტანის გამომუშება. 10. ქვევის ბენზინის შრომა. 11. გამოწევა. 12. გაცემა. 13. გამოსვა ან გაქონება. 14. ლილონის არმატურის გაცემა. 15. თამოში ჩადგმა. 16. ცავენტის სინარით შეღესვა. 17. ქვევის მომზადება საექსპლოაბუროდ.



ბული ყელამდე, სხვადასხვაა და დამოკიდებულია ქვევრის ტემპოზე
ვაღობაზე. როცა ქვევრის სიმაღლე ნახევარს გადასცდება, ას-
ტატი აღარ სერავს მას ხარალით, რადგან ქვევრის სპეციალუ-
რი ფორმა ზედა ნაწილში არ მოითხოვს მისი შეკვრის აუცილე-
ბლობას.

ქვევრის გამოწვა

გამომშრალი ქვევრი საჭიროა გამოიწვას. გამოსაწვავად
იხმარება სპეციალური ფორმის პრიმიტიული ღუმელი, ანუ ქუ-
რა. (ნახ. 13). ქურა წარმოადგენს აგურის თაღიან გრძელ ნა-
გებობას. შიდა ზედაპირი და ძირი, რომელიც განიცდის ცეცხ-
ლის შემოქმედებას, ცეცხლგამძლე აგურისაა. ქურის წინა მხა-
რე მუშაობის დაწყებამდე მთლიანად ღიაა. უკანა მხარეს კე-
დელზე ამოჭრილია სხვადასხვა ღიამეტრის რამდენიმე ნახვ-
რეტი. მე-18 ნახვრეტიდან ქურაში ვარ्षკვეული წევა — ჰაერი
მოძრაობს, მე-7 ნახვრეტიდან კი წარმოებს დაკვირვება მის
ტემპერატურულ რეჟიმზე, მე-6-დან გამოჯის ნამწვი პროდუქ-
ტები, ხოლო მე-5-დან საჭირო შემთხვევაში შეიძლება ქურაში
ჩავყაროთ საწვავი მასალა.

ქურის მუშაობის დაწყებამდე ახდენენ მის გამოწვას, რათა
მოცილდეს სინესტე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს
ქვევრზე. გამოწვის შემდეგ მას აცივებენ და ტვირთავენ ბუნე-
ბრივი წესით გამომშრალი ქვევრებით. ერთდროულად ქურა
შეიძლება დაიტვირთოს სხვადასხვა ტევადობის რამდენიმე
ქვევრით. გამოწვის პირველი პერიოდია შებოლვა. შეშად იყე-
ნებენ თელას — ნახშირს არ იძლევა და ბოლავს. ცეცხლს ისე
ანთებენ, რომ ქურაში მხოლოდ ბოლი შედიოდეს. უბოლებენ
4—5 დღეს. შებოლვის შემდეგ იწყებენ გამოწვას 900° ტემპე-



ჩატურაზე. გამოწვის ხანგრძლიობა დაახლოვებით 2—3 თვე. შემდეგ ქვევრებს ღუმელთან ერთად აცივებენ 20—25 ტემპერატურაზე. გამოწვის შემდეგ ქვევრი ღებულობს სპეციფიკურ ფერს, რომელიც წააგავს ღია ვარდის ან აგურის ფერს. შემოწმებისას ნორმალური ქვევრი გამოსცემს ზარისერ ბურ ხმას. თუ ხმა ყრუდ გაისმა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქვევრი დეფექტიანია.

თუ თიხისა და სილის გაცრის შემთხვევაში მას მაინც შეჰყვა მავნე მინარევი, მაგ., კირქვა, გამოწვის ღროს ეს მინარევი იშლება და ქვევრი იმ ადგილას იხვრიტება. თუ ნახვრეტი ჰატარაა, მისი ამოვსება შეიძლება ცემენტის ხსნარით. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვევრი უვარევისია.

ქვევრის გაქონვა-გაპოხვა

გამოწვის შემდეგ ქვევრის კედლებში რჩება მცირე ზომის მიკროსკოპული ნახვრეტები. რაც უფრო დიდია შემაღენელ ნივთიერებათა ნაწილაკები და თხევადია მიღებული თიხის ცოში, მით მეტია წარმოქმნილი კაპილარული ნახვრეტის ზომები. ამ ნახვრეტებიდან გარეთ გამოუინავს ქვევრში ჩასხმული თხევადი ნივთიერება, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ეს ნახვრეტები ამოვავსოთ რაიმე ნივთიერებით, რასაც გაპოხვა, ანუ გაქონვა ეწოდება. საპოხ მასალად შეიძლება გამოვიყენოთ რათლის სანთელი, ცხოველური ცხიმები და სხვ. ყველაზე კარგ შედეგს იძლევა თაფლის სანთელი, მაგრამ ვინაიდან ძვირი ჯდება, გაპოხვა უმთავრესად წარმოებს ცხოველური ცხიმებით.

გაპოხვის დაწყებამდე საჭიროა ქვევრი წინასწარ გავათბოთ,




ამისათვის მასში ჰყოფიან ნამჯას ან ბზეს, შეუნთებენ ცეცხლს და ათბობენ. შემდეგ ქვევრში ასხამენ გამღნარ გასაპოხ მატელი ლას და უსვამენ ქვევრის შიგა ზედაპირს. გამღნარი ცხიმი ავსებს მიკროსკოპულ ფორმებს, მაგრავება, ამოავსებს ამ ნახვ-რეტებს და ქვევრში ჩასხმულ სითხეს აღარ ეძლევა გამოუონ-ვის საშუალება. ამით მთავრდება ქვევრის დამზადების მთლია-ნი პროცესი.

ქვევრის ჩაყრა

ქვევრებს, როგორც წესი, ტანით მიწაში ათავსებენ, ყელს კი მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 15—20 სმ ზევით ტოვე-ბენ (მაგ., სომხეთში, საღაც საქარ-თველოსთან შედარებით მეტი სითბოა, ქვევრის ყელი მიწის ზე-დაპირიდან დაახლოებით 0,5 მეტ-რით არის ამოწეული). მიწაში ჩა-დებამდე ქვევრს წრიულ რგოლე-ბად უკეთებენ ლითონის მავთუ-ლის არმატურას და შემდეგ ქვევ-რის სიმაღლეზე რადიალურად დგამენ.

ასეთნაირად შეკრულ ქვევრს სპეციალურად მომზადებულ სა-თანადო ზომის ორმოებში დგა-მენ, რის შემდეგ ქვევრის გარე ზედაპირს ცემენტის ხსნარით ლე-სავენ. ძველად ქვევრს მხოლოდ კირის ხსნარით ლესავდნენ.




ნახ. 14. ქვევრი მავთულის
არმატურაში

საქართველოს
სახალხო მუზეუმი

გაშრობის შემდეგ ქვევრს გარშემო უყრიან მიწას, ამავე და ვენ და ახდენენ გოგირდის გამოწვას.


ქვევრის რეცეპტი წარმოებს სხვადასხვა წესით. პატარა ზომის ქვევრის გასარეცხად გამოიყენება ე. წ. სარცხი— წარმოადგენს ხის ტარზე წამოცმულ ოთხკუთხედის ფორმის ალუბლის ხის ქერქს. ნახ. 15.



ნახ. 15. სარცხი

ქვევრში ასხამენ წყალს. მრეცხავი დგება ქვევრის ზემოთ და სარცხით რეცხავს ქვევრის შიგა ზედაპირს. სარცხი ჩადის ქვევრში ჩასხმული წყლის დონეზე, ამოაქვს იქიდან წყალი და

ასხამს ქვევრის ზედა-
პირზე. რითაც წარმო-
ებს ქვევრის ზედაპირის
გასუფთავება. გაჭუჭყი-
ანებულ წყალს ახლით
ცვლიან. აღწერილი
პროცესი გრძელდება
მანამ, სანამ წყლის ფე-
რი უცვლელი არ დარ-



ნახ. 16. კრაზანა

ჩება, რაც დამაღასტურებელია ქვევრის რეცხვის პროცესის დაზთავრებისა.

დიდი ტევადობის ქვევრებიდან წყლის ამოღება წარმოქმნაში ტუმბოებით. კახეთში რეცხვას აწარმოებენ სპეციალური ბალანსისაგან შეკრული კონით — კრაზანათი. ნახ. 16.

საღ მდგომარეობაში შესანახად საკმარისია ქვევრი გაცლისთანავე ცივი წყლით კარგად გაირეცხოს, გაშრეს და გოგირდი ეხრჩოლოს, რაც უნდა გავიმეოროთ თვეში ერთხელ მაინც. მავნე მიკროორგანიზმების წინააღმდეგ რეკომენდებულია ქვევრის შიგა ზედაპირზე ნაცრის ან კირის შეფრქვევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვევრის დამზადების ყოველი პროცესი პრიმიტიულია და დიდ შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს (ნახ. 17). თიხის ამოღება მიწიდან ჯერჯერობით ხელით წარმოებს. დიდი დრო იხარჯება თიხის ბუნებრივ შრობაზე, გაძნელებულია თიხის დაფშვნა, თიხისა და სილის გაცრა, ცომის მომზადება, სორსოლების გაკეთება და ქვევრის ფორმის შექმნა; დიდი დრო იხარჯება მის ბუნებრივ შრობაზე. ძნელდება ქვევრების დატვირთვა და გადმოტვირთვა საწვავი ქურიდან, მათი გაპოხვა, შელესვა და სხვა, ამისათვის საჭიროა ქვევრები მექანიზებული წესით დამზადდეს, კერძოდ, გამოყენებულ იქნას ერთციცხვიანი და მრავალციცხვიანი ექსკავატორები, საშრობი კამერები, კონვეიერები თიხის გადასატანად, ვალცებიანი დამფუნქციული მანქანები, C—96 ტიპის მბიძგავი ცხავი, ჰორიზონტალური და ვერტიკალური საზელი მანქანები ცომის მოსახველად. ყოველივე ეს გარკვეული დახმარებას გაუწევს ქვევრის დამზადების ოსტატებს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ქვევრის წარმოებას უხსოვარი დროიდან იცნობენ. დღეისათვის ყველა შესაძლებლობა არსებობს, რომ აღნიშნული საკითხის თვითონეული ტექნოლოგიური პროცესი უფრო დეტალურად იქნეს შესწავლი-



ეროვნული

ლი და გამოყენებული, ტექნიკის უახლესი მიღწევებისას გამოიყენებით საქართველოში საფუძველი ჩაეყაროს ნაციონალური ღვინის ჭურჭლის — ქვევრის მექანიზებული წესით წარმოებას. ყოველივე ეს დიდად შეუწყობს ხელს მეღვიხეობის მრეწველობაში ქვევრის ფართოდ გამოყენებას, კახური და იმერული ტიპის ღვინოების წარმოების გაზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ପରିଚୟ

ଶ୍ରେଷ୍ଠାଙ୍କଳି	3
ଲ୍ୟୋନିସ ଫାରକ୍କିନିସ ମନ୍ଦିରପାଳିଲକ୍ଷ୍ମୀ ଦା ଲ୍ୟୋନିସ ପୁରୁଷେଲି	4
ଲ୍ୟୋନିସ କାଲିକା	5
କୀନ୍ଦ୍ରିୟ	12
ଧୂତ୍ରୀକରଣ	14
ର୍ଯ୍ୟାନା-ଧ୍ୟୋତାନିସ ର୍ଯ୍ୟୋତାନିସ	16
ଲୋତନିସ ପିଲିତ୍ରୀରନ୍ଦ୍ରିୟ	20
ତୃତୀୟ ଦା ପିଲିତ୍ରୀଲି ଲ୍ୟୋନିସ ଶ୍ରେଷ୍ଠାଙ୍କଳି ପିଲିତ୍ରୀରନ୍ଦ୍ରିୟ	24
ତୃତୀୟ ଲ୍ୟୋନିସ ଦାଶାଲ୍ଲାଲ୍ଲାବ୍ରତୀ ପିଲିତ୍ରୀରନ୍ଦ୍ରିୟ (ର୍ଯ୍ୟାନକ୍ରିୟ)	25
ପିଲିତ୍ରୀଲି ଲ୍ୟୋନିସ ଦାଶାଲ୍ଲାଲ୍ଲାବ୍ରତୀ ପିଲିତ୍ରୀରନ୍ଦ୍ରିୟ	27
ଅକ୍ଷରାତ୍ମାତ୍ମକାରୀ	29
ଶ୍ଵେତରାଜ ରାଜପାଲପ ସାଲ୍ଲାଗିନ୍କ ପୁରୁଷେଲି	31
ପରମିସ ମନମହାଲ୍ଲାବ୍ରତୀ	33
ଶ୍ଵେତରାଜ ଦାମନ୍ଦାଲ୍ଲାବ୍ରତୀ	35
ଶ୍ଵେତରାଜ ଗାମନ୍ତ୍ରିତ୍ଵା	37
ଶ୍ଵେତରାଜ ଗାକିନ୍ତ୍ଵା-ଗାପିନ୍ତ୍ଵା	38
ଶ୍ଵେତରାଜ ରାଯରା	39

718/214

Тамаз Григорьевич Сихарулидзе



Посуда для брожения и старения вин
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1970

საზოგადოებრივი რედაქტორი პროფ. გ. ბერიძე
გამომცემლობის რედაქტორი თ. ჭინჭიხაშვილი
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექნიკური რედაქტორი ქ. როველიაშვილი
კორექტორი ე. უვანია
გამომუშები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 11/IV-70 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 12/X-70 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 108^{\text{1}}/32$.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 1,93. საალ.-საგამომც.
თაბახი 1,62.

უ 00285. ტირაჟი 500. შეკვ. № 214.

ფასი 6 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარგანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავრპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4
Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати

K 57.624
20V

0610363430
20070909000000